ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 229
(7290)

30 1982 წ.
ნოემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მარათონი თბილისში

25 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მარათონი არ გამართულა. თუმცა, როგორც გამოირკვა, სპორტის ამ სახეობას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყოლია ჩვენში. ამაში დაგვარწმუნეს გულშემატკივრებმა, რომლებმაც გვიანი შემოდგომის ამ უკანასკნელ კვირა დღეს მოიყარეს თავი რიყის მოედანზე, საიდანაც „შემოდგომის მარათონის“ მონაწილეებს უნდა აეღოთ სტარტი. ინტერესი, რა თქმა უნდა, დიდი იყო, მაგრამ მხოლოდ 35 კაცმა გაბედა ამ რთულსა და საინტერესო ასპარეზობაში ჩაბმა, რომლის ტრასა: რიყის მოედანი — სტალინის სახელობის სანაპირო — დიღმის ხიდი — მეგობრობის პროსპექტი — ავეჯის სახლი — რიყის მოედანი — ტრადიციულად 42 კმ-სა და 195 მ-ს შეადგენდა (ორ წრედ).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის რბენის მოყვარულთა კლუბების „როსინანტისა“ და „კუს“ წევრები, რუსთაველი, თელაველი და თეთრი წყაროელი მძლეოსნები. სამწუხაროდ, გაუგებარი მიზეზების გამო, სტარტზე არ გამოსულან რბენის მოყვარულთა კლუბების შექმნის ერთ-ერთი მოთავეები — „მერანის“ წარმომადგენლები.

35 მონაწილედან ოცდაცხრამ შეძლო მთელი დისტანციის გარბენა. ასეთი მაღალი პროცენტი უთუოდ მორბენლების კარგი მომზადებით უნდა აიხსნას, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი საერთოდ პირველად მონაწილეობდა ამგვარ შეჯიბრებებში. მამაკაცთა გვერდით სიძნელეები გადალახეს და მარათონის გამოცდა ღირსეულად გაიარეს ქალებმაც. ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი იამზე სამსიანმა და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორის ასისტენტმა ოლღა ტულუშმა პირველად გაირბინეს ეს რთული დისტანცია. იამზეს შედეგია 4 საათი, 20 წუთი, 5 წამი, ოლღასი — 4:35. 13. კაცებს შორის (40 წლამდე) საუკეთესო შედეგი აჩვენა ოლეგ ხარაზიშვილმა (ასკ) — 2:36.53,2, მეორე შედეგი ჰქონდა იგორ კოსიხს („როსინანტი“) — 2:50.25, მესამე — შალვა ნადირაძეს (ექიმი ვეტერინარი, თეთრი წყაროს რაიონის ქედის მეფრინველეობის ფაბრიკა) — 2:52.17. მესამე პრიზიორს სულ ცოტათი ჩამორჩა ნიკო ლომიძე („როსინანტი“) — 2:52.18. სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა „საშემოდგომო მარათონის“ ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 17 წლის ლევან ბუჩუკური („როსინანტი“) — 2:58. 58 (V ადგილი).

მეორე ჯგუფის მონაწილეთა შორის (40 წელზე ზევით) პირველი იყო გამოცდილი ბორის ჩერნოვი („როსინანტი“, გაერთიანება „თბილრძეს“ ზეინკალ-ელექტრომექანიკოსი) — 3:14.54.

29-ვე მარათონელს III სპორტული თანრიგი მიეკუთვნა.

აღსანიშნავია, რომ მძლეოსნობის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ნ. დუმბაძე) ინიციატივით მოწყობილი ეს შესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, რასაც უთუოდ შეუწყო ხელი მსაჯთა ბრიგადის ორგანიზებულმა მუშაობამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საკავშირო კატეგორიის არბიტრები: ა. ხუციშვილი, ვ. ნედაშკოვსკი, ვ. ფოფხაძე, საპატიო მსაჯები: ჰ. ათაბეკოვი, ა. სტეპანოვი, აგრეთვე „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექტორის ვ. მაისურაძის დიდმა დახმარებამ. ცალკე უნდა ითქვას სამედიცინო მომსახურების პერსონალსა (რესპუბლიკური საექიმო ფიზკულტურული დისპანსერის თანამშრომლები: რ. ობოლაძე, კ. პეტროსოვა) და საქალაქო ავტოინსპექციის მუშაკებზე, რომლებმაც ამ დღეს მარათონის მონაწილეებს უსაფრთხო ასპარეზობისათვის ყველა პირობა შეუქმნეს.

გადაწყდა, ამგვარი შეჯიბრებები ტრადიციულად მაისისა და ნოემბრის პირველ კვირეებში ჩატარდეს. ეს ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მარათონული რბენის შემდგომ განვითარებას.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ი. სამსიანი დისტანციაზე; შეჯიბრების მონაწილენი ტრასაზე, 29 ნომრით ასპარეზობს მომავალი გამარჯვებული ო. ხარაზიშვილი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

პერსონალური პასუხისმგებლობა

ᲧᲕᲔᲚᲐ საქმეში, მათ შორის სპორტშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საშემსრულებლო დისციპლინას, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალ შეგნებას. ეს თანაბრად ეხება სპორტსმენებს, მწვრთნელებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სათავეში უდგას გარკვეულ დარგს თუ უბანს, სადაც წყდება გარკვეული პრობლემები.

სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში იშვიათი როდია, როდესაც სპორტის ამა თუ იმ უბნის ხელმძღვანელი მუშაკები იჩენენ პირად უპასუხისმგებლობას — ზერელედ, მხოლოდ ვალის მოხდის პოზიციიდან „აკეთებენ საქმეს“.

ეს ორგვარი დამოკიდებულება ყველაზე რელიეფურად იკვეთება მაშინ, როდესაც საქმე ეხება რომელიმე უბანს თუ ობიექტს, სადაც შეინიშნებოდა ნაკლოვანებანი. ხარვეზები და რომელთა გამოსწორება სწორედ ხელმძღვანელის პირადი ვალია.

ჩვენს წინაა ორი წერილი: ერთი ეკუთვნის ცაგერის რაიონის ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ხვადაგიანს. იგი გვპასუხობს „ლელოში“ ამ რამდენიმე ხნის წინათ დაბეჭდილი კრიტიკული წერილის კვალდაკვალ მიღებული ზომების შესახებ:

„თქვენი გაზეთის მიერ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც შეეხებოდა რაიონის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის „ხვამლის“ მოთამაშეების მიერ საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩების დროს ნესრიგის დარღვევის ფაქტებს, განხილული იქნა და მდგომარეობის გამოსასწორებლად გატარდა სათანადო ღონისძიებანი, კერძოდ: შეიცვალა გუნდის მწვრთნელი, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათანადო დისციპლინის დამყარება გუნდში, ჩატარდა აღმზრდელობითი ხასიათის საუბრები ფეხბურთელებთან, გუნდს მიემაგრა კომორგი, ყოველი მატჩისათვის გუნდზე მიმაგრებულია შეფი-ორგანიზაციები და დანესებულია პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. ფეხბურთელები, რომლებიც შემჩნეული იყვნენ დისციპლინის დარღვევაში, დისკვალიფიცირებული არიან 1 წლის ვადით.

ამას გარდა, ნესრიგშია მოყვანილი სტადიონი, მოეწყო გასახდელები, საშხაპე, შეკეთდა ტრიბუნა.

ყოველივე ამის შედეგად ამჟამად გუნდში დისციპლინა საგრძნობლად განმტკიცდა — ფეხბურთელების მიერ ნესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინებულა. მუშაობა კვლავ გაგრძელდება ამ მიმართულებით“.

როგორც ვხედავთ, პასუხი ამომწურავია, საქმიანი და კონკრეტული. იგრძნობა, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობა პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა გაზეთის მართებულ კრიტიკას.

მაგრამ, სამწუხაროდ, გვაქვს საპირისპირო, ნეგატიური მაგალითიც, როდესაც რედაქციაში გამოგზავნილი პასუხი არის ფორმალური, ვალის მოხდის მიზნით შედგენილი. ასეთი პასუხი ამ რამდენიმე ხნის წინათ მივიღეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საწარმოო კომბინატის მესვეურთაგან, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველებს:

„გაზეთ „ლელოს“ რედაქციას! ძვირფასო რედაქცია, ამა წლის აგვისტოს თვის ნომერში გამოქვეყნებული იყო სტატია „ბურთი მრგვალია?“ რომელშიც ლაპარაკი იყო ჩვენი კომბინატის მიერ გამოშვებული ბურთის ხარისხზე. სტატიაში მოყვანილმა კრიტიკამ უფრო მეტად დარაზმა ჩვენი კოლექტივი, თუმცა არაერთი ღონისძიება იყო მიღებული ადრეც, რამაც საგრძნობი შედეგი ვერ მოგვცა.

თქვენი სტატია ფართო მსჯელობის საგანი გახდა, ის განხილული იყო საწარმოო თათბირზე, მასზე იმსჯელა პარტბიურომ და სამხატვრო ტექნიკურმა საბჭომ. მიღებული იქნა დადგენილება ხარისხის ერთთვიურის ჩატარების შესახებ, რომლის მოქმედების პერიოდში მკაცრად დაისაჯნენ წუნის მკეთებელი მუშაკები. ყოველივე ზემოხსენებულმა გამოიწვია ჩვენი პასუხის დაგვიანება. მიუხედავად ყველა ხელისშემშლელი პირობისა, რომელზედაც თქვენს წერილშიც ნაკლებად იყო საუბარი, კომბინატის სამსახურების მიერ გაწეულმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, რომლის შემდგომი ამაღლება ყველა ჩვენთაგანის ყოველდღიური საზრუნავია.

დირექტორი: ჯ. შ. ჯავახიშვილი
პარტბიუროს მდივანი: კ. მ. ჯანაშვილი“.

როგორც ვხედავთ, კომბინატის მესვეურები ნაკლებად გრძნობენ, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს თავიანთი საწარმოს მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხზე: ასეთი არაფრისმთქმელი, ფორმალური პასუხის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ „კომბინატის სამსახურების მიერ გაწეულმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, რომლის შემდგომი ამაღლება ყველა ჩვენთაგანის ყოველდღიური საზრუნავია“.

ვფიქრობთ, საჭიროა ყველამ ვიფიქროთ, როგორ ავამაღლოთ სპორტის მესვეურთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის მიმართ.

ა. ბაქანიძე.

● მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი კრივში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში ჩაებნენ ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. გაიმართა პირველი ორთაბრძოლები. 48 კგ წონითს კატეგორიაში თბილისელმა ა. კაზანჯიანმა დაამარცხა კიროვაკანელი ლ. პაპაიანი.

51 კგ წონაში გაიმართა 6 შეხვედრა: ბულგარელმა ნ. დიჩევმა მოუგო ფრანგ ი. სავარინოს, ო. მიხეევმა — ვ. ალექსანდროვს (ორივე — სსრკ), ი. ფერენციმ (ჩეხოსლოვაკია) — ვ. გალსანოვს (სსრკ), გ. მაკეევმა — ს. გაჩეჩილაძეს (ორივე — საქართველო), ო. ნაზაროვმა — რ. ბილიუსს (ორივე — სსრკ), მ. ფინეტანმა (რუმინეთი) — ა. ანგელოვს (ბულგარეთი).

შეჯიბრება გრძელდება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. კაზანჯიანისა (მარცხნივ) და ლ. პაპაიანის ორთაბრძოლა.

ე. ხუცურაულის ფოტო.



სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილება — ცხოვრებაში!

ახალგაზრდობა იბრძვის, იმარჯვებს!

როდესაც რომელიმე ქალაქის თუ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონეზე ვსაუბრობთ, უპირველესად მის სპორტულ ტრადიციებს ვიხსენებთ. ბუნებრივიცაა: ასე თუ ისე ხელშესახები წარმატება მწირ ნიადაგზე ვერ აღმოცენდება, წარმატებას მტკიცე ფუძე და ბალავარი სჭირდება.

ნათქვამი ანბანური ჭეშმარიტებაა და ამაზე არავინ დავობს.

როდესაც ზესტაფონის რაიონის სპორტულ ცხოვრებას გაეცნობით და სპორტულ ბაზებსაც თვალს შეავლებთ, უმალ რაიონის თვალსაჩინო სპორტული ტრადიციები გაგახსენდებათ და უნებლიედ გაგიჩნდებათ სურვილი უფრო ახლოს გაეცნოთ აქაურ სპორტის მესვეურთა საქმიანობას, ღრმად ჩაიხედოთ მათ „შემოქმედებით ლაბორატორიაში“, გაიგოთ, რა უჭირთ, რა ულხინთ, და, თუ საჭირო იქნება, მხარში ამოუდგეთ და დაეხმაროთ.

* * *

... სამართლიანად ამაყობენ ზესტაფონელები აქ ფეხადგმული და დავაჟკაცებული სპორტსმენებით, ესენი არიან: მიხეილ სალაძე, გურამ პეტრიაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, თემურ ლეჟავა, ოთარ დადუნაშვილი და ზესტაფონელებისათვის თითქმის კერპად ქცეული კაცი — სიმონ საყვარელიძე, რომელმაც უამრავ ნორჩ ზესტაფონელს შეაყვარა ფარიკაობა. საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს სიმონ საყვარელიძეს 50-60-იან წლებში საზოგადოებრივ საწყისებზე ოჯახში ჰქონდა გახსნილი „საკუთარი კლუბი“, რომლის კარი ყველასთვის ღია იყო. ფარიკაობაში დაოსტატება ბევრს სურდა, იარაღი კი საკმარისი არ ჰქონდათ, ამიტომ მწვრთნელი ბროწეულის წნელებით ავარჯიშებდა პატარებს და მხოლოდ სპორტის სიყვარულს კი არ უნერგავდა, სწავლაშიც ეხმარებოდა, საკუთარი სახსრებით ექსკურსიებზე დაჰყავდა, ერთი სიტყვით, როგორც ზესტაფონელები ამბობენ, სიმონ საყვარელიძემ ქუჩას ჩამოაშორა და კაცად აქცია იმდენი ახალგაზრდა, რომელთა კარგად აღზრდასაც ერთდროულად რამდენიმე პედაგოგი ვერ შეძლებდა. სწორედ მისი ინტენსიური მოღვაწეობის დრო იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ფარიკაობაში ერთ წელიწადს ზესტაფონის ნაკრები ცალკე გუნდად რომ გამოვიდა.

მაგრამ ეს 20-30 წლის წინათ იყო. რა მდგომარეობაა ამჟამად ზესტაფონის რაიონში?

დავიწყოთ ფარიკაობით.

მე-2 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ფარიკაობის ერთი ჯგუფის მეცადინეობას დავესწარი. გავესაუბრე ბავშვებს. ბევრი მათგანი ამ ჯგუფში ახალი გადმოსული აღმოჩნდა. ძველი მასწავლებელი ხშირად გვიცდენდა მეცადინეობას, როცა მოდიოდა, მაშინაც ბევრს არაფერს გვასწავლიდაო, — ჩივიან ბავშვები. მასწავლებლის გვარი, რასაკვირველია, არ მითხრეს. პატარა მოფარიკავეების მწვრთნელმა რუსუდან ცხადაძემ კი თქვა, რომ მოვარჯიშეთათვის საკმარისი რაოდენობით არა აქვთ ფორმა, იარაღი...

საშუალო სკოლიდან სპორტულ სკოლაში გადავინაცვლეთ. ფარიკაობის დარბაზში ორი ჯგუფის 25 ბავშვის ნაცვლად სამი გოგონა დაგვხვდა. ისინი კუთხეში მიმსხდარიყვნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ერთი მათგანი სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი ინგა ფრანგიშვილი აღმოჩნდა. ინგა და მისი რამდენიმე იმედისმომცემი თანატოლი სწორედ ახლა საჭიროებენ მწვრთნელის ყურადღებას, დღენიადაგ ვარჯიშს, წვრთნას იმისათვის, რომ მათ მაღალი რანგის შეჯიბრებებში კარგი შედეგები აჩვენონ. ისინი კი, ვარჯიშზე მოსულნი, ზოგჯერ ამაოდ ელოდებიან მასწავლებელს...

— ჩვენს სკოლაში სპორტის 10 სახეობაში 42 ჯგუფი ვარჯიშობს, — ამბობს განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე გურამ ყიფშიძე, — პრობლემები კი, რამდენიც გნებავთ: არ გვყოფნის კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლები, სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია შემთავსებლებით (24 მასწავლებლიდან ძირითადია მხოლოდ 7). შემთავსებელთა შრომის ნაყოფიერება კი ძალზე დაბალია. ბუნებრივია, მასწავლებელთა არასაკმარისი დაინტერესება თავის დაღს ასვამს ბავშვების ფსიქიკას, მათი ფიზიკური მომზადების დონეს...

* * *

რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისათვის დიდ მუშაობას ეწევა კომკავშირის რაიკომი, რომლის ლიდერმა ირაკლი მაღლაკელიძემ და მეორე მდივანმა ავთანდილ კიკნაძემ უკვე არაერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს ამ გზაზე. მათი ინიციატივით სულ მალე სოფელ არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიხსნება მიხეილ სალაძის სახელობის კლუბი, სოფლის ახალგაზრდებს არა აქვთ სხვა გასართობი და გვინდა ჩვენს მიერ დაარსებული კლუბი მათთვის საყვარელ თავშესაყარ ადგილად იქცეს. მოვაწყობთ დისკოთეკებს, მხატვრულ-ესთეტიკურ ღონისძიებებს. რა თქმა უნდა, კლუბი შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციას — პატარები ივარჯიშებენ ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის და სხვა სპორტულ სექციებში, მაგრამ არც სექციის გარეთ დარჩენილები გვინდა დავივიწყოთ, — მათთვის მოეწყობა ექსკურსიები, შეხვედრები ომის, შრომის და სპორტის ვეტერანებთან, — ამბობენ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ლიდერები.

მოვუსმინოთ წარსულში სახელოვან მოფარიკავეს, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, მეორე საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეს, ამჟამად კომკავშირის რაიკომის მდივანს **ავთანდილ კიკნაძეს:**

— ჩვენში კარგა ხანია დაიწყო სტუდენტური სპორტის პრობლემებზე ლაპარაკი, მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება — თუ ბავშვს სკოლაში არ ვასწავლით ფიზიკას და ლიტერატურას, ცხადია, მისგან ვერ მივიღებთ ფიზიკოსს და ფილოლოგს, ზუსტად ასეა სპორტშიც. ჩვენში, განსაკუთრებით პერიფერიებში, მინიმალური ყურადღება ექცევა ბავშვთა სპორტს, და, ვიდრე ეს საქმე არ მოგვარდება, სტუდენტურ სპორტს აღმავლობა არ უწერია. ჩვენს მთავარ მიზნად სწორედ ბავშვთა სპორტის განვითარება, მოსახლეობაში ფიზკულტურის მასობრივი დანერგვა მიგვაჩნია. სულ ახლახან რაიონში ჩატარდა ნორჩ კალათბურთელთა პირველობა „ჩვენ თორმეტი წლისანი ვართ“, რომელმაც პატარების დიდი დაინტერესება გამოიწვია და რამდენიმე იმედისმომცემი სპორტსმენიც აღმოგვაჩენინა. რა დასამალია და, არაერთხელ გაგვიგონია, სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლები ხშირად არაობიექტურად წერენ ნიშანსო. ამის მიზეზი უმეტესად ის არის, რომ „არ გაფუჭდეს“ ფრიადოსნის ატესტატი. ამიტომ გადავწყვიტეთ რაიონის განათლების განყოფილებასთან ერთად შევამოწმოთ ყველა სკოლა და კონტროლზე ავიყვანოთ ფიზმომზადებაში დაწერილი ყველა „ფრიადი“ შეფასება. ვფიქრობთ, ამით ავამაღლებთ ფიზკულტურის გაკვეთილის მნიშვნელობას, ამ საგნის მასწავლებლის როლსა და ავტორიტეტს.

* * *

კომკავშირული ორგანიზაცია შესაშური ენერგიით, მას რომ შეჰფერის და ეკადრება, ისე უძღვება საქმეს. გზადაგზა სიძნელეებიც გვხდება, მაგრამ ახალგაზრდობა რის ახალგაზრდობაა, დაბრკოლებებს თუ შეუშინდება.

არაერთხელ ითქვა, და საკმაოდ მაღალი ტრიბუნიდანაც, რომ საცხოვრებელ ადგილებზე პედაგოგ-ორგანიზატორებად უნდა დაინიშნონ ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებულები, მაგრამ ამის მიღწევა ჯერჯერობით მაინც არ ხერხდება. ფილოლოგები, ისტორიკოსები, უცხო ენათა სპეციალისტები, მართალია, პედაგოგები არიან და ბავშვებთან მშვენივრადაც მუშაობენ, მაგრამ მათ არა აქვთ ფიზკულტურული მუშაობის გამოცდილება. ამის გარეშე კი ჭირს ბავშვების სპორტში ჩაბმა, მათი დაინტერესება.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კვალითის დასახლებაში არის მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, სადაც კომკავშირის რაიკომის და „განთიადის“ რაიონული საბჭოს ინიციატივით სულ ახლახან ჩატარდა საოჯახო სპარტაკიადა. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ფრენბურთში, კალათბურთში, ბაგირის გადაძალვაში... ამ სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი მანანა ვაჭარაძე სრულიად ახალგაზრდაა, არც სპეციალური ფიზკულტურული განათლება აქვს, მონდომებამ, ბავშვებისა და საქმის სიყვარულმა კი თავისი ნაყოფი გამოიღო — ყველაზე დიდ მიკრორაიონში არ არის არც ერთი ძნელადაღსაზრდელი ბავშვი. ხშირად ეწყობა მიკროღონისძიებები, სპორტული სექციების გარეშე დარჩენილნი კი გაერთიანებულნი არიან ხატვის წრეში, სისტემატურად დადიან ექსკურსიებზე, ტურისტულ ლაშქრობაში.

გულიც ბევრ რამეზე ეთანაღრებათ აქაურ კომკავშირელებს. საყოველთაო მიგრაცია ზესტაფონის რაიონსაც შეეხო. ახალგაზრდები კანტიკუნტად ბრუნდებიან სოფელში და რისთვის ვაშენებთ ამდენ სპორტულ მოედანსო, — სინანულით ამბობენ. არც გასაწვევ და წვევამდელ ახალგაზრდებთან დაგეგმილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა დგას სასურველ დონეზე, ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლებში დაწყებით სამხედრო მომზადებას, სამხედრო-ტექნიკური სახეობების განვითარებას, არაეფექტურად გამოიყენება ბავშვთა სამხედრო-სპორტული თამაშობები „ცისკარი“, „მართვე“.

გულს მაინც არ იტეხენ ზესტაფონელი ახალგაზრდები. მომავლისთვის კიდევ უფრო ბევრის გაკეთებას ფიქრობენ. უნდათ მეტი ყურადღება მიაქციონ მოზარდთა მასობრივ სპორტში მიზიდვის ისეთ საინტერესო შეჯიბრებებს, როგორიცაა „იმედის სტარტები“, „ტყავის ბურთი“, „თეთრი ეტლი“, „შაში —საოცრება“, განათლების სამინისტროს წინაშე კი დასმულია საკითხი ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და რეზერვების მომზადების მიზნით სპეცკლასის გახსნის შესახებ.

ეს იქნება ზესტაფონელთა წვლილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების საქმეში, ზრუნვა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მათ მაღალ შრომისნაყოფიერებაზე, ხალისიან გუნებაგანწყობილებაზე.

ნ. ჟოხარიძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ზესტაფონი.

ლუცერნი: გზა ოქროს მედლებისკენ

საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მოჭადრაკეთათვის ყველაზე პასუხსაგები და მნიშვნელოვანი პაექრობაა. წინა ოლიმპიადა, როგორც მკითხველებმა იციან, 1980 წელს კუნძულ მალტაზე სსრ კავშირის გუნდების გამარჯვებით დასრულდა. იქვე, ფიდე-ს კონგრესზე გადაწყდა, რომ მომავალი ოლიმპიადა 1982 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში ჩატარდებოდა. მოახლოვდა დათქმული თარიღი და სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები მზადებას შეუდგნენ.

გუნდური შეჯიბრება ჭადრაკშიც შეკავშირებულ, ერთიან მოქმედებას, მეტოქე გუნდების ძალის სწორად შეფასებას და მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვას მოითხოვს. ამ მიზნით ოლიმპიადის დაწყების წინ ტრადიციულ ერთთვიან შეკრებაზე ჩვენი ქვეყნის ვაჟთა გუნდი სოჭში ჩავიდა, ქალთა გუნდი კი ბიჭვინთაში. ამ დროისათვის ქალთა გუნდში ირიცხებოდა მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. კანდიდატები ვიყავით მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე ციკლის მონაწილე ლ. სემიონოვა და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენთან იმყოფებოდნენ მწვრთნელები, საერთაშორისო დიდოსტატები ა. გიპსლისი, ე. გუფელდი და საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა. ჭადრაკში მეცადინეობის პარალელურად ყველგან დიდ ადგილს ვუთმობდით ფიზიკურ მომზადებას.

24 ოქტომბერს ქალთა და ვაჟთა გუნდები მოსკოვის მახლობლად ნოვოგორსკის ოლიმპიურ ბაზაზე შეიკრიბა. 26 ოქტომბერს საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე თარჯიმნები, კონგრესმენები (ოლიმპიადის მსვლელობის პერიოდში გათვალისწინებული იყო ფიდე-ს 53-ე კონგრესის მოწვევა), მიიღო სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა თუ რა სერიოზული და პასუხსაგები შეჯიბრება გველოდა. მ. ჩიბურდანიძემ და ა. კარპოვმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა გუნდების თითოეული წევრი ყველაფერს გააკეთებდა საერთო წარმატების მოსაპოვებლად. აქვე გაირკვა, რომ ქალთა გუნდში მხოლოდ ქართველი მოჭადრაკეები ითამაშებდნენ.

27 ოქტომბერს, დილით, ჩვენი დელეგაცია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი კოსმონავტის ვ. სევასტიანოვის მეთაურობით ლუცერნში გაემგზავრა.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები რამდენიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელთაგან პირველი ბინის საკითხი იყო. სასტუმრო, რომელშიც ორგანიზატორების წინადადებით დავბინავდით, სათამაშო დარბაზიდან „ფესტჰალე-ალმენდიდან“ საკმაოდ შორს აღმოჩნდა. ამ პატარა უსიამოვნებას საბჭოთა მოჭადრაკეების განწყობაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. მთავარი საჭადრაკო დაფებთან ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა.

სამი დღის განმავლობაში ვისვენებდით და ვათვალიერებდით ლუცერნს, შვეიცარიის ამ ერთ-ერთ ლამაზ საკურორტო ქალაქს. მას რვასაუკუნოვანი ისტორია აქვს, გაშენებულია გოტარის მთების ძირში. ქალაქს შუაზე ჰყოფს ტბა, რომელზეც გადებული რამდენიმე ხიდიდან ერთ-ერთი ისტორიული მნიშვნელობისაა — იგი ქალაქის შექმნისთანავე, 1178 წელს აიგო.

ჩვენი სასტუმრო ლუცერნის ცენტრში მდებარეობდა.

30 ოქტომბერს ლუცერნის გარეუბანში მდებარე უდიდეს სპორტულ დარბაზში „ფესტჰალე-ალმენდში“ გაიხსნა ვაჟთა 25-ე და ქალთა მე-10 ოლიმპიადა.

საჭადრაკო ოლიმპიადა ტარდებოდა ე. წ. შვეიცარიული სისტემით, 14 ტურად. თამაშის რეგლამენტი, როგორც წინა ოლიმპიადაზე, მძიმე იყო: თამაში მიმდინარეობდა 14-დან 19 საათამდე, ორსაათიანი შესვენების შემდეგ იწყებოდა შეხვედრები გადადებულ პარტიათა დასამთავრებლად, რომლებიც 23 საათამდე (ჩვენი დროით ღამის 2 საათზე) გრძელდებოდა. გადადებული პარტიების დამთავრება მეორე დღესაც 9-დან 11 საათამდე მიმდინარეობდა. კენჭისყრის შედეგებს დილის 10 საათზე სასტუმროში ვგებულობდით, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდის შემადგენლობას თამაშის დაწყებამდე საათით ადრე. რამდენადაც ოლიმპიადაზე ყველა გუნდს ერთნაირ პირობებში უხდებოდა თამაში, ამ ამბავმა ჩვენ ნაკლებად შეგვაშინა.

პირველ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ავსტრალიის გუნდს შეხვდნენ. ტრადიციულად სათამაშოდ ძირითადი შემადგენლობა გამოვიდა. მ. ჩიბურდანიძემ ორ საათში პირველი ქულა შესძინა გუნდს. ნონამაც და ნანამაც საკმაოდ სწრაფად გაიმარჯვეს. ეს ყველაზე იოლი მატჩი აღმოჩნდა ჩვენი გუნდისათვის.

მეორე ტურში ინგლისის მოჭადრაკეებს შევხვდით. ამჯერად ნ. გაფრინდაშვილი ისვენებდა. მ. ჩიბურდანიძის მეტოქემ ი. მაილსმა სწრაფად გაცვალა რამდენიმე ფიგურა და პარტია თანაბარ ენდშპილში გადავიდა. მე-15 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ნანა ალექსანდრიამ ძლიერად ჩაატარა პარტია ახალგაზრდა ჯექსონთან და ლამაზი გამარჯვება იზეიმა. მეც საკმაოდ იოლად გავიმარჯვე.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ესპანეთისა და ჩინეთის გუნდები — 6-6 ქულა. საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის გუნდებს 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ.

მესამე ტურში ჩვენი მეტოქე რუმინეთის გუნდი იყო.

რამდენიმე სიტყვა რუმინეთის ნაკრებზე: პირველ დაფაზე თამაშობდა მ. მურეშანი, რომელმაც სექტემბერში, თბილისის საზონათაშორისო ტურნირზე პრეტენდენტის საგზური მოიპოვა. მეორეზე ახალგაზრდა მ. პოგორევიჩი. მარინა 12 ტურის მანძილზე ლიდერობდა ბად-კისინგენის საზონათაშორისო ტურნირში, მაგრამ ფინიშზე წაიბორძიკა და პრეტენდენტის საგზურის გარეშე დარჩა. აშკარაა, რომ პოგორევიჩის სახით რუმინეთს ჰყავს ძლიერი მოჭადრაკე, რომელიც აქტიურად იბრძოლებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის. მესამე დაფაზე გამოდიოდა დ. ნუცუ-ტერეშჩენკო, რომელმაც ოლიმპიადის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 12-დან 11 ქულა აჩვენა. სათადარიგო იყო გამოცდილი ე. პოლიქრონიადე, რომელიც მალტის ოლიმპიადაზე რუმინეთის გუნდს ლიდერობდა.

მაიამ მურეშანთან პარტიაში მცირე პოზიციური უპირატესობა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ნონამ დაამარცხა მ. პოგორევიჩი. ჩემი მოწინააღმდეგე დ. ნუცუ-ტერეშჩენკო იყო.



ეს პოზიცია რუმინელი მოჭადრაკის 35-ე სვლის შემდეგ შეიქმნა. ხუთ სვლაზე ერთი წუთიღა მქონდა დარჩენილი. აქ წინასწარ მოვამზადე 36. ე×f6, მაგრამ ცაიტნოტში 36. ...ლa5 37. ლe3 კ×d5-ის შემდეგ ჩემთვის კარგს ვერაფერს ვხედავდი. პარტია ასე გაგრძელდა:

36. c3 ეh8 37. ლd1 ლa5 38. ლb3 ლa7 39. ლd1 კ×d5 40. კ×d5 ლa1+ 41. მფd2 ე×d5 და თეთრები დანებდნენ.

რა თქმა უნდა, ძალიან დასანანი წაგებაა, მით უმეტეს ლიდერობისთვის მოცილე გუნდის წევრთან. ორმაგად დამწყდა გული, როცა პარტიის დამთავრებისთანავე დიაგრამაზე აღბეჭდილ პოზიციაში მოგებისკენ მიმავალი კომბინაცია დავინახე. აი, ისიც:

36. ე×f6 ლa5 37. ლe3 კ×d5 38. ეf8+ ე×f8 39. ლ×h6+ g×h6 40. g7+ მფh7 41. g×f8მ+ მფh8 42. ეg8 შამათით.

მეოთხე ტურში ჩინეთის გუნდს შევხვდით. პირველ დაფაზე ნ. ალექსანდრია თამაშობდა. მისი მეტოქე იყო ლიუ შილანი, მეტად თავისებური მოჭადრაკე, რომელიც პარტიაზე საშუალოდ 40 წუთს ხარჯავს. მხოლოდ პარტიის დასაწყისში ფიქრობდა ლიუ შილანი ჩვეულებრივზე დიდხანს. კრიტიკული მომენტის შემდეგ კი თამაშის საკუთარ მანერას დაუბრუნდა. პარტიის ბედი სწორედ ამან გადაწყვიტა. ნანამ ლამაზი გამარჯვება იზეიმა. ჩემი შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ამ მატჩის მოგების შემდეგ ჩვენმა გუნდმა ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა.

ნანა იოსელიანი,
საერთაშორისო დიდოსტატი, თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათზე: ლუცერნი.

მასპინძლობს თელავი

ხვალ, 1 დეკემბერს თელავში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ვაჟთა საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი (პირველი ლიგა). ეს იქნება თელავის ისტორიაში მოჭადრაკეთა პირველი დიდი შეჯიბრება.

პირველი ლიგა, როგორც სსრ კავშირის ტრადიციული ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი ტურნირი, 1973 წელს შემოიღეს. იმავე წლის ოქტომბერში პირველად მას თბილისმა უმასპინძლა. მომდევნო რვა წლის მანძილზე ამ ტურნირმა „იმოგზაურა“ ოდესაში, კიშინიოვში, მინსკში, ბაქოში, აშხაბადში, ფრუნზეში, ტაშკენტსა და ვოლგოდონსკში. და აი, ახლა მას თელავი მასპინძლობს.

პირველ ლიგაში მუდამ უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობენ. მათ შორის მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ქალი — მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, რომელმაც თამაშის უფლება ნახევარფინალში მოიპოვა.

პირველი ლიგა თელავში შემთხვევით არ ტარდება. კახეთის ამ უძველეს ქალაქს კარგი საჭადრაკო წარსული აქვს. ჯერ კიდევ 1940 წელს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი სწორედ თელავში გაიმართა.

50-იან წლებში თელავში დიდი საჭადრაკო აღმავლობა შეიმჩნეოდა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაც დაწინაურდა, მათგან უძლიერესს, ოსტატობის კანდიდატი ოთარ ელიოზიშვილი დიდი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს პირველობებსა და სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატებში.

1961 წელს საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე თავი ისახელა თელაველმა მოსწავლემ თამარ ხუგაშვილმა, რომლის მწვრთნელი გ. ელიოზიშვილი იყო. ნიჭიერმა ქალმა მალე გაითქვა სახელი: სამჯერ (1972, 1975, 1978 წ.წ.) იყო საქართველოს ჩემპიონი, რამდენჯერმე მონაწილეობდა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში (1981 წელს ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა), თბილისის, რუმინეთის, პოლონეთისა და გდრ-ის საერთაშორისო ტურნირებში, შარშან მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირშიც იასპარეზა. ახლახან ფიდე-მ თამარს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა.

თელავში დღესაც მუყაითად მუშაობენ ნორჩი მოჭადრაკეების აღმზრდელები. პატარა თელაველები აქტიურად მონაწილეობენ „თეთრი ეტლის“ პრიზის გათამაშებაში. სწორედ მათთვის იქნება დიდი დღესასწაული პირველი ლიგის შეხვედრებზე დასწრება.

ასპარეზობაში 18 მოჭადრაკე ჩაებმება: იაროსლავლის, პავლოდარის, ივანო-ფრანკოვსკისა და სევეროდონეცკის ნახევარფინალებში გამარჯვებულნი და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი მოსკოველი ა. სოკოლოვი. მონაწილეთა შორის არიან სახელოვანი მოჭადრაკეები, დიდოსტატები: ბ. გურგენიძე, რ. ვაგანიანი (ერევანი), ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), ვ. ცეშკოვსკი (კრასნოდარი), ვ. ბაგიროვი (რიგა), საერთაშორისო ოსტატები გ. აგზამოვი (ტაშკენტი), ი. ანიკაევი (მოსკოვის ოლქი), ა. ლუკინი (ლენინგრადი), ვ. ჩეხოვი (მოსკოვი), ს. ლპუტიანი, ა. პეტროსიანი (ორივე — ერევანი), გ. ზაიჩიკი (თბილისი) და სხვები.

თელავის სტუმრები იბრძოლებენ უმაღლესი ლიგის (1983 წ. აპრილი, მოსკოვი) ორი საგზურისთვის, III-VIII ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები კი სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

პირველ ლიგას „უდირიჟორებს“ საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი მ. უსაჩი (კიევი).

ტურნირი, რომელიც 28 დეკემბრამდე გასტანს, ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალ შენობაში ჩატარდება.

თ. გიორგაძე.



ტ. პეტროსიანის შეხედულებით

გასულ შაბათს (27 ნოემბერს) თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგა ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა. ლექციები წაიკითხეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ტ. პეტროსიანმა** (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატმა **გ. ბორისენკომ** (ტაშკენტი). მეცადინეობას უნივერსიტეტის მსმენელები და დიდძალი ჭადრაკის გულშემატკივრები დაესწრნენ.

ლექციის დამთავრებისას ტ. პეტროსიანმა უპასუხა მსმენელთა შეკითხვებს. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

● **ვინ შეხვდება ა. კარპოვს მომავალ მატჩში?**

— მისი ზუსტად გამოცნობა შეუძლებელია, მაგრამ ვიცი, რომ იგი კორჩნოი არ იქნება.

● **ვინ გაიმარჯვებს კასპაროვ — კორჩნოის მატჩში?**

— ამ შეხვედრამდე კორჩნოიმ უნდა სძლიოს პორტიშს მეოთხედფინალურ მატჩებში, ხოლო კასპაროვმა — ბელიავსკის. ეს ადვილი როდია. პორტიშიც და ბელიავსკიც იოლად არავის დაანებებენ თავს. და თუ კასპაროვ—კორჩნოის შეხვედრა მაინც შედგა, ჩემი აზრით, კასპაროვი გაიმარჯვებს.

● **დაგვიხასიათეთ გარი კასპაროვი.**

— გარი 19 წლისაა. საოცრად ნიჭიერია. დღეს მხოლოდ მას შეუძლია წარმატების იმედით შეებრძოლოს კარპოვს. მართალია, ჯერ იგი ვერ გაუმკლავდება ჩემპიონს, მაგრამ მათი შესაძლებელი მატჩის დროს — 1984 წელს, ვფიქრობ ღირსეული მეტოქე იქნება.

ჩემი ხანგრძლივი საჭადრაკო ცხოვრების მანძილზე ორჯერ დავრჩი გაოცებული: პირველად 1958 წელს, როცა რობერტ ფიშერი გავიცანი და მეორედ 1979 წელს, როცა კასპაროვის ნათამაშევი პარტიის ანალიზს დავესწარი. გამაოცა ჭადრაკისადმი მათმა დამოკიდებულებამ. გარიც, როგორც თავის დროზე ფიშერი, მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს.

● **შეიძლება თუ არა შედგეს კარპოვ—ფიშერის მატჩი?**

— არა. ფიშერი აღარ დაუბრუნდება ჭადრაკს. ამას წინათ ნიუ-იორკში ვიყავი და ვცადე მას ტელეფონით დავლაპარაკებოდი, მაგრამ ამაოდ. არ ისურვა. კიდეც რომ შედგეს ეს მატჩი, მას კარპოვი მოიგებს. ფიშერს მეტად გაუჭირდება აღიდგინოს თავისი ძველი პრაქტიკული ძალა.

● **დაგვისახელეთ ყველა დროის დიდი მოჭადრაკეები.**

— საკმაოდ ბევრნი არიან. როგორც პიროვნებამ ჭადრაკში, ჩემზე მხოლოდ ორმა დიდოსტატმა დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება. ესენი არიან მიხეილ ბოტვინიკი და რობერტ ფიშერი.

თ. ნინოშვილი.

* * *

სურათზე: ტ. პეტროსიანი ლექციის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

დღეს ჭადრაკის სასახლეში

საქვეყნოდ გახმიანდა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდების ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. ახლა ყველას აინტერესებს ლუცერნის საჭადრაკო ოლიმპიადის პერიპეტიები.

დღეს, 30 ნოემბერს ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. 37) მოეწყობა შეხვედრა სსრ კავშირის ქალთა გუნდის წევრებთან. მ. ჩიბურდანიძე, ნ. ალექსანდრია, ნ. გაფრინდაშვილი და ნ. იოსელიანი ისაუბრებენ ოლიმპიადაზე, უპასუხებენ გულშემატკივართა შეკითხვებს.

შეხვედრა დაიწყება 19 საათზე.

ეროვნული

● კლასიკური ჭიდაობა

მესამედ!

ბუდაპეშტი. საბჭოთა „კლასიკოსებმა“ ფინალში დაამარცხეს უნგრეთის ნაკრები და მესამედ მოიპოვეს მსოფლიო თასი.

აი, გამარჯვებულნი: ოლიმპიური ჩემპიონები ჟ. უშკემპიროვი (48 კგ-მდე) და ვ. ბლაგიძე (52 კგ-მდე), მსოფლიო ჩემპიონი გ. ერმილოვი (68 კგ-მდე), მსოფლიო პირველობის პრიზიორები [illegible]მინი (57 კგ-მდე) და ი. კანიგინი (90 კგ-მდე), ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ე. არტიუხინი (100 კგ-ზე ზევით), აგრეთვე ა. ლიტვინოვი (62 კგ-მდე), ვ. არსენიევი (74 კგ-მდე), ა. ქანიმოვი (82 კგ-მდე) და ს. გოლუბოვიჩი (100 კგ-მდე). (საკდესი).

● ფეხბურთი

გადამწყვეტი მატჩები

დღეს და ხვალ გაიმართება საქართველოს 1982 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრები.

დღეს 18 საათზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგება მატჩი, რომელიც გამოავლენს რესპუბლიკის ჩემპიონს ფეხბურთში. დებულების თანახმად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ უძლიერესის გამოსავლენად. აღმოსავლეთ ზონაში პირველი ადგილი დაიკავა ზესტაფონის „მეტალურგმა“, ხოლო დასავლეთ ზონაში — მახარაძის „მერცხალმა“. სწორედ მათს უშუალო შეხვედრაში უნდა გამოვლინდეს ჩემპიონი.

მატჩი გაიმართება ფიფა-ს წესებით: თუ ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი 30-წუთიანი 2 ტაიმი და თუ ამ დროსაც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას, დაინიშნება დამატებითი პენალტები.

მატჩს იმსაჯებს თბილისელ არბიტრთა ბრიგადა ასეთი შემადგენლობით: ვ. მიმინოშვილი, გ. სეფიაშვილი, ნ. ამირეჯიბი.

საინტერესო მატჩი გაიმართება 1 დეკემბერსაც. რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორის გამოსავლენად ერთმანეთს შეხვდებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში II ადგილებზე გასული გუნდები — თბილისის „ავტომობილისტი“ და ვანის „სულორი“. დასაწყისი 15 საათზე.

„გადასასვლელის“ თასზე

გრძელდება „გადასასვლელის“ თასის საკავშირო გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

საქართველოს ნაკრებს თავის ჯგუფში ბოლო მატჩი ჰქონდა ტაჯიკეთის ნაკრებთან. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთელები თანაბარ ქულებს აგროვებდნენ სომხეთის გუნდთან ერთად და მასთან მოგებული გამარჯვების წყალობით შემდგომ თამაშებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებდნენ, მაგრამ ეს ამოცანა მათ ვერ შეასრულეს — გადამწყვეტი შეხვედრა დამთავრდა ტაჯიკეთის გუნდის გამარჯვებით 2:0.

„კარპატის თასი“ დაისაკუთრეს

მსოფლიო ჩემპიონმა, სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა „კარპატის თასი“ მოიპოვა. რუმინეთის ქალაქ ბუზეუში მიმდინარე ტურნირის დასკვნით მატჩში საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს ამ პოპულარული საერთაშორისო ასპარეზობის მასპინძლები — რუმინელი სპორტსმენები 21:18.

საბჭოთა გუნდმა სძლია აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს პოლონეთის გუნდს — 26:25, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს — გდრ-ის ნაკრებს — 21:18, რუმინეთის მეორე ნაკრებს — 30:16. (საკდესი).

● ფრენბურთი



„სინათლისა“ და ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ფრენბურთელ ქალ და ვაჟთა გუნდებს შორის. უკვე დაამთავრეს ასპარეზობა სპორტსმენმა ვაჟებმა. სტარტზე სულ 7 გუნდი გამოვიდა. ადგილები კი საბოლოოდ შემდეგნაირად განაწილდა: 1. „სპარტაკი“, 2. „ბურევესტნიკი“, 3. ასკ.

გრძელდება ტურნირი ქალთა გუნდებს შორის. საპრიზო ადგილებისთვის ერთმანეთს ეცილება 8 კოლექტივი.

* * *

სურათზე: „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ ფრენბურთელ ქალთა მატჩის მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ანკეტები. ანკეტები...

პრაღის გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ აქვეყნებს სხვადასხვა ქვეყნის სააგენტოების ანკეტების შედეგებს წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად.

დასავლეთგერმანული ისკ-ის (ინტერნაციონალ სპორტ კორესპონდენცი) სააგენტოს გამოკითხვის შედეგად 1982 წლის № 1 სპორტსმენად მსოფლიოში მიჩნეულია ტომპსონი (ინგლისი, მძლეოსნობა), რომელმაც 117 ქულა მოაგროვა. მეორეა როსი (იტალია, ფეხბურთი) — 102 ქულა, მესამე — კონორსი (აშშ, ჩოგბურთი) — 72.

აი, დანარჩენებიც: 4. ჰინაულტი (საფრანგეთი, ველოსპორტი) — 46, 5. ლევისი (აშშ, მძლეოსნობა) — 38, 6. სალაზარი (აშშ, მძლეოსნობა) — 37, 7. სალნიკოვი (საბჭოთა კავშირი, ცურვა) — 34, 8. მორკროფტი (ინგლისი, მძლეოსნობა) — 7, 9. ლი ნინი (ჩინეთი, ტანვარჯიში) — 6, 10. გროსი (გფრ, ცურვა) — 5 ქულა. სულ ანკეტაში დასახელებულია 18 ქვეყნის 29 სპორტსმენი.

ქალთა შორის ისკ-მ დაასახელა 11 ქვეყნის 29 სპორტსმენი: 1. კოხი (გდრ, მძლეოსნობა) — 109 ქულა, 2. მაიფარტი (გფრ, მძლეოსნობა) — 82, 3.-4. ჰესი (შვეიცარია, ცხენოსნობა) და ნავრატილოვა (აშშ, ჩოგბურთი) — 65 ქულა თითოეულს, 5. შნაიდერი (გდრ, ცურვა) — 49 და ა. შ.

გაზეთმა „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ ასეთი ხუთეულები შეადგინა: **ვაჟები** — 1. ტომპსონი, 2. როსი, 3. სალნიკოვი, 4. კონორსი, 5. ჰინაულტი.

ქალები — 1. კოხი, 2. აინლი (ნორვეგია, ცხენოსნობა), 3. მაიფარტი, 4. ჰესი, 5. შნაიდერი.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის (აშშ) სააგენტოს ანკეტა ასე გამოიყურება: ვაჟები — 1. ტომპსონი (161 ქულა), 2. ლევისი — (158), 3. როსი (145), 4. კონორსი (113), 5. ჰინაულტი (82), 6. სალნიკოვი (75) და ა. შ.; ქალები — 1. კოხი (199 ქულა), 2. მაიფერტი (162) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტულ ფედერაციებში

ქართულ ხელბურთზე ზრუნვით

გაიმართა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ფედერაციის პრეზიდიუმის 1977-1982 წლების ანგარიში, აირჩია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, დელეგატები საკავშირო ფედერაციის მომავალ კონფერენციაზე გასაგზავნად.

— ქართული ხელბურთის სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ ჩვენი ფედერაცია არ შეკრებილა მთელი 5 წლის მანძილზე, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში ფედერაციის წევრმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ **ჯ. ბაგრატიონმა**. — უფრო მეტიც, ფედერაცია დღემდე ფორმალურად, მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ხელბურთელთათვის აშენდა რამდენიმე ახალი სპორტული ნაგებობა — განათლების სამინისტროს შესანიშნავი კომპლექსი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ დარბაზი, ტყიბულის სპორტკომპლექსი და სხვა. რესპუბლიკაში გახსნილია მრავალი ჯგუფი ამ საინტერესო სპორტულ სახეობაში, გვაქვს წარმატებები ბავშვთა თუ ახალგაზრდულ ხელბურთში, მაგრამ დიდი ხელბურთი კი, სამწუხაროდ, აღარ გვაქვს — გუნდი რის ვაივაგლახით იბრძვის უმაღლეს ლიგაში. არც ახალი ნიჭიერი ოსტატები მოდიან „ბურევესტნიკში“. ეს ერთნაირად ეხება როგორც თბილისს, ისე პერიფერიას, საიდანაც უკანასკნელ წლებში მხოლოდ ერთი „გამოსადეგი“ ხელბურთელი მოვიდა — თელაველი ჩიბირაშვილის სახით.

— ქართული ხელბურთის ფლაგმანი „ბურევესტნიკის“ გუნდი, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრებს წარმოადგენს, თანდათანობით თმობს პოზიციებს და მეტწილად უძლიერესთა რიგების დატოვების საფრთხის წინაშე დგას, მიმდინარე გათამაშებაში იგი ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება, — აღნიშნა თავის გამოსვლაში სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ერაძემ**. — ვფიქრობ, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად თბილისში საჭიროა მეორე გუნდის შექმნაც — სასურველია იგი შეიქმნას ან სხვა სპორტსაზოგადოებაში, ან მოგვევლინოს მთავარი გუნდის სათადარიგო შემადგენლობის სახით, რომელიც საბაზო გუნდი იქნება „ბურევესტნიკისათვის“. და ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს, რათა ჯეროვნად მომზადებული შევხვდეთ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადას. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ჩვენს ქალთა ხელბურთში, რომლის ნაკრებს, შეიძლება ითქვას, დაკარგული აქვს ბრძოლისუნარიანობა და ხშირ შემთხვევაში ულიმღამოდ ატარებს მატჩებს. გუნდი I ლიგაში გამოდის და აუტსაიდერთა შორის იმყოფება.

მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სხვადასხვა საკავშირო სემინარებზე საქართველოს საუკეთესო არბიტრების მივლინების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **ჯ. ძაგანიამ**.

გულახდილი და საქმიანი იყო საპატიო სპორტის ოსტატის **ჯ. ცერცვაძისა** და სპორტის ოსტატის **ა. კომახიძის** გამოსვლებიც.

ქართული ხელბურთის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე შეაჩერა დამსწრეთა ყურადღება სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **გ. შარაშიძემ**. როგორც ჩანს, ხელბურთის ზოგიერთი მესვეური არ არის ამ პოპულარული თამაშის, თუ გნებავთ, ქართული სპორტის ჭეშმარიტი პატრიოტი, — თქვა მან, — აბა, სხვაგვარად რით შეიძლება აიხსნას თუნდაც ის სავალალო ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობისა და უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტებში დღეს აღარ გვყავს ხელბურთელთა გუნდები, რომლებიც ადრე საუკეთესონი იყვნენ რესპუბლიკაში. ცხადია, არც ისაა ნორმალური, რომ ამ კონფერენციას, რომელსაც სპეციალისტები მთელი ხუთი წელი ელოდებოდნენ, არ ესწრებიან ისეთი სპორტსაზოგადოებების პასუხისმგებელი მუშაკები, როგორიცაა „ლოკომოტივი“, „განთიადი“, „სპარტაკი“. რესპუბლიკაში ფაქტიურად არ მიმდინარეობს არავითარი სასელექციო მუშაობა, რამაც სავალალო შედეგები მოგვიტანა — „ბურევესტნიკს“ დღეს ყველაზე ხანდაზმული შემადგენლობა ჰყავს უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის...

* * *

კონფერენციამ აირჩია საკავშირო კონფერენციაზე (მოსკოვი, დეკემბერი) გასაგზავნი დელეგატები და ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ახალი შემადგენლობა. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი **ნ. ცხაკაია**, მის მოადგილეებად: სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ო. ეჯიბაძე**, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ვ. ხაზარაძე** და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **გ. შარაშიძე**.

თასი „ჟიგულებისთვის“

ლონდონი. საბჭოთა ავტომანქანა „ჟიგულებით“ მოასპარეზე მრბოლელთა გუნდმა ზედიზედ მეორედ მოიგო სეზონის ერთ-ერთი უძლიერესი რალი — „ლომბარდ როიალ აუტო კლაბ რალი“. ვოლგის ავტოქარხნის მანქანები უფრო საიმედო გამოდგა, ვიდრე ცნობილი ფირმების — „აუდის“ „ოპელის“, „ფორდის“ და „ტოიოტას“ მანქანები.

ძალზე რთული იყო წლევანდელი ასპარეზობის ტრასა — უელსის, შოტლანდიისა და ინგლისის მთიან, ტყიან და გრუნტიან ტერიტორიაზე გამავალი სამი ათასი კილომეტრი. ტრასას ართულებდა აგრეთვე 716 კილომეტრის სიგრძის 69 სწრაფგასავლელი მონაკვეთი და... საგანგებოდ შერჩეული უცნობი მონაკვეთები. მარშრუტის ზუსტ რუკას ეკიპაჟებს უშუალოდ სტარტის წინ აძლევდნენ. წლის ამ პერიოდში „ნისლიანი ალბიონი“ სრულად ამართლებს სახელწოდებას. თანაც შოტლანდიის მთიან გზებზე ნისლს წვიმა და თოვლიც ემატება. და რა გასაკვირია, რომ 149 მანქანიდან, ფინიშამდე ნახევარმაც ვერ მიაღწია.

საბჭოთა მრბოლელები საერთაშორისო სარბიელზე „ვაზ-2105“ მარკის მანქანებით პირველად გამოდიოდნენ. მხოლოდ ვ. მოსკოვსკიხისა და ა. გირდაუსკასის ეკიპაჟი ასპარეზობდა „ჟიგულებით“ (ვაზ-21011). სპორტული მანქანები ვილნიუსის ავტოსარემონტო ქარხანაში სტასის ბრუნძის ხელმძღვანელობით მომზადდა.

ჩვენმა მრბოლელებმა პირად ჩათვლაშიც მოიპოვეს პრიზები. მოსკოვსკიხმა და გირდაუსკასმა I ადგილი დაიკავეს რალისთვის სპეციალურად დამზადებული სერიული მანქანების კლასში. ს. ვუკოვიჩი და ა. ზვინგევიცი „ვაზ-2105“-ით II ადგილზე გავიდნენ. მესამე ავტომანქანამ „ლადა-21011“, რომლის შედეგი „ქარხნის ჩათვლაში“ შევიდა, ფინიშამდე მოიყვანა ქალთა ინტერნაციონალური ეკიპაჟი — ვ. კნუდსენი (ნორვეგია) და დ. როჯერსი (ინგლისი), რომლებიც თავიანთ კლასში III ადგილზე გავიდნენ. კნუდსენის აზრით „ლადა“ ძლიერი და საიმედო ძრავის მქონე ბრწყინვალე ავტომანქანაა“.

საბჭოთა მრბოლელები ამ საერთაშორისო ავტორალიში მეოთხედ მონაწილეობდნენ. (საქ-დესი).



„მოსვენება“ არა აქვს თბილისის სპორტის სასახლეს. სულ ახლახან აქ დამთავრდა სსრ კავშირის XIII ახალგაზრდული პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, დღეს მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, ხოლო ოთხიოდე დღის შემდეგ მის თაღებქვეშ მსოფლიოს უძლიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშეები შეიკრიბებიან, რომლებიც ტრადიციულ „ინტერვიზიის თასს“ გაითამაშებენ.

ამ სურათებს, რომლებიც ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ა. კოტორაშვილმა სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის დღეებში გადაიღო, ავტორმა უწოდა „დიდი ტანვარჯიშის სათავეებთან“. ძნელია ტანმოვარჯიშის ხვედრი!; ნორჩმა დინამოელმა ოსტატურად მოათვინიერა „ჯიუტი“ ტაიჭი; მეც მინდა ასე გავაკეთო!.. გაიზრდებით და თქვენც გახდებით ოლიმპიური ჩემპიონები (სპორტის დამსახურებული ოსტატი ლარისა ლატინინა ესაუბრება მომავალ ოსტატებს).

● **ფიგურული ციგურაობა**

დინამოელთა ნარმატება

სევეროდონეცკში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფიგურულ ციგურაობაში. სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე 4 დღეს გრძელდებოდა ქვეყნის 9 გუნდის — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, ხარკოვის, კუიბიშევის, კიროვის, მოსკოვის ოლქისა და თბილისის — უძლიერეს ოსტატთა საინტერესო ბრძოლა.

კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოციგურავენი. ერთეულების პროგრამით მოასპარეზე სპორტის ოსტატობის კანდიდატ გოგონათა შორის ლია სამხარაძემ მესამე ადგილი მოიპოვა, ხოლო ბიჭებს შორის მისმა თანაგუნდელებმა არმენ საკიანმა და გიზო ბლიაძემ შესაბამისად მეორე და მესამე შედეგები აჩვენეს. მომდევნო (მეოთხე და მეხუთე) ადგილებზეც ჩვენი მოციგურავენი — ნათია კორკოტაშვილი და მანანა ჩხეტიანი გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილ სპორტსმენებს, რომლებიც „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში შეიყვანეს, მწვრთნელი ვალენტინა რეტივიხი ავარჯიშებს.

გ. შანშულაშვილი,
სპორტის ოსტატი.

თბილისის ვ. ი. ლენინის
სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

ფეხბურთი

30 ნოემბერი

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში

მატჩი I ადგილისთვის

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) —

„მერცხალი“ (მახარაძე)

დასაწყისი 18 საათზე

ბილეთები გაიყიდება 30 ნოემბერს 14 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ჭადრაკის კულტურის
რესპუბლიკური სახალხო
უნივერსიტეტი

4 დეკემბერს, 16 საათზე, ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 37, კიროვის სახ. პარკი) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ:

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მიხეილ ბოტვინიკი**— „საჭადრაკო ოლიმპზე“, საერთაშორისო ოსტატი **ლევ აბრამოვი** თემაზე: „შეჯიბრების ორგანიზაცია და მსაჯობა ჭადრაკში“

მეცადინეობის შემდეგ გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში.

უნივერსიტეტის მსმენელებთან ერთად ვიწვევთ ჭადრაკის ყველა მოყვარულს.

სახალხო უნივერსიტეტის საბჭო.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08570